## კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

### სსიპ ქალაქ თელავის მეორე საჯარო სკოლა

| ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ | |
|---|---|
| სეგმენტი | მოსწავლეები |
| კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება | **სსიპ ქალაქ თელავის მეორე საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი “ასწავლე ფინანსები ლიტერატურით”, რომელშიც ჩართულნი იყვნენ VII, VIII, IX, X  და XI კლასის მოსწავლეები** |
| მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად | **უბედური დიდვაჭარი - სულხან-საბა ორბელიანი - VII**<br>**გლახაკი და ქილა ერბო - სულხან-საბა ორბელიანი - VII კლასი**<br>**გლახაკი და ქილა ერბო - სულხან-საბა ორბელიანი - IX კლასი**<br>**ოთარაანთ ქვრივი - III თავი - ხუთი ქისა - ილია ჭავჭავაძე - XI კლასი** |
| ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში<br><br>*(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ [ფინედუს ვებგვერდს])* | **უბედური დიდვაჭარი** - **VII კლასი** - ფული; ბაზარი; პირადი ფინანსების მართვა; ქველმოქმედება<br>**გლახაკი და ქილა ერბო** - **VII კლასი** - ფული; პირადი ფინანსების მართვა<br>**გლახაკი და ქილა ერბო** - **IX კლასი** - ფული; პირადი ფინანსების მართვა; დაზღვევა<br>**ოთარაანთ ქვრივი - III თავი - ხუთი ქისა - XI კლასი** - ფული; პირადი ფინანსების მართვა; დაზოგვა; ქველმოქმედება; ბაზარი; კონკურენცია |
| **სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები**<br>*(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)* | თავდაპირველად, მიმდინარე წლის 29 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით, X და XI კლასის მოსწავლეების მიერ **თანამშრომლობითი სწავლების მეთოდის** საშუალებით დამუშავდა საკითხები სახელმძღვანელოდან [“ფინანსური განათლება მარტივად”] თაღლითური სქემები და ფინანსური უსაფრთხოება, დაზღვევა, პირადი ბიუჯეტი, ფული და ვალუტა.<br>საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მიმდინარე წლის 14-20 მაისის ჩათვლით VII, VIII და IX კლასის მოსწავლეებს **დემონსტრირების მეთოდის** (ვიზუალური გზით) გამოყენებით ასწავლეს პირადი ბიუჯეტის შედგენა. თანატოლ-განმანათლებელი აქტივობის ბოლოს გამოყენებული იქნა **დისკუსიის მეთოდი**. მოსწავლეებმა იმსჯელეს საჭიროებებისა და სურვილების სწორი კლასიფიცირების |

| | |
|---|---|
| | მნიშვნელობაზე გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა მათ გაიუმჯობესონ პირადი ფინანსური კეთილდღეობა.<br>მიმდინარე წლის 21-28 მაისის ჩათვლით მოსწავლეებთან **უბედური დიდვაჭარი; გლახაკი და ქილა ერბო** და ოთარაანთ ქვრივი - III თავი - **ხუთი ქისა** ლიტერატურის განხილვის შემდგომ გამოყენებული იყო **დისკუსიისა და წერითი მუშაობის მეთოდი** VII, VIII, IX და XI კლასის მოსწავლეებში კრიტიკული ანალიზის, ფინანსური და შემოქმედებითი უნარის განსავითარებლად, ასევე მათში წიგნიერებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად. |
| **აქტივობის აღწერა**<br>*(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)* | X და XI კლასის მოსწავლეებმა მიმდინარე წლის 14-20 მაისის ჩათვლით **თანატოლ-განმანათლებელი აქტივობის** საშუალებით VII, VIII და IX კლასის მოსწავლეებს **გონებრივი იერიშის, პრეზენტაციისა და ინტერაქტიული მინი ლექციის** გამოყენებით ასწავლეს პირადი ბიუჯეტის შედგენა. თანატოლ-განმანათლებელი აქტივობის ბოლოს გაიმართა **დისკუსია**. მათ იმსჯელეს საჭიროებებისა და სურვილების სწორი კლასიფიცირების მნიშვნელობაზე გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა მათ გაიუმჯობესონ პირადი ფინანსური კეთილდღეობა. ასევე მათ გაუზიარეს ცოდნა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს თაღლითური სქემების და ფინანსური უსაფრთხოების, დაზღვევის, ფულისა და ვალუტის შესახებ.<br>მიმდინარე წლის 21-28 მაისის ჩათვლით მოსწავლეებთან **უბედური დიდვაჭარი; გლახაკი და ქილა ერბო** და ოთარაანთ ქვრივი - III თავი - **ხუთი ქისა** ლიტერატურის განხილვის შემდგომ გამოყენებული იყო **დისკუსიისა და წერითი მუშაობის მეთოდი** VII, VIII, IX და XI კლასის მოსწავლეებში კრიტიკული ანალიზის, ფინანსური და შემოქმედებითი უნარის განსავითარებლად, ასევე მათში წიგნიერებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული იყო აქტივობა **ურჩიე პერონაჟს** როგორ გაზარდოს შემოსავლის ოდენობა და როგორ მართოს ფინანსები უკეთ. VII, IX და XI კლასის მოსწავლეებმა **ამოგზაურე პერსონაჟები XXI საუკუნეში** აქტივობის საშუალებით არსებული ლიტერატურული გმირებისაგან შექმნეს ფინანსური უნარების მქონე კონკურენტუნარიანი მოქალაქეები (დიდვაჭარი, გლახაკი და ოთარაანთ ქვრივი) |

| | |
|---|---|
| **შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ** *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)* | მოსწავლეებში კრიტიკული ანალიზის, ფინანსური და შემოქმედებითი უნარის განვითარების ზრდის გაზომვა მოხდა პრეტესტისა https://learningapps.org/35912501 და მათ მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტის საშუალებით. მოსწავლეებმა გააცნობიერეს ინფორმირებული არჩევანის მნიშვნელობა, რაც ასახეს შემოქმედებითად რჩევებში, კომიქსში, თხულებაში, ნახატში… |